



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31222791
თარიღი: 06/10/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის ლოლიტა ურუშაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ლანჩხუთი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 30. 09. 2022 წელი 15:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ლოლიტა ურუშაძე, მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიციანიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ნინო მშვიდლობაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ლოლიტა ურუშაძე შეხვდა ლანჩხუთის, კერძოდ-კუპრეიშვილის და წმ. ნინოს ქუჩების მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩატარება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ ლოლიტა ურუშაძემ წარმოადგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის ფრაქცია

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. ასევე, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი და საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. აგრეთვე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის ლანჩხუთის საბჭოს წევრი.

ამ დროისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ბიუროს 10 და საკრებულოს 14 სხდომა, სადაც განხილული იქნა როგორც სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, საგანმანათლებლო, ასევე, ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტი, პროგრამა თუ ინიციატივა.

ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული ურბანულ განახლებას. დასრულდა ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, სადაც გაკეთდა ბავშვთა გასართობი ადგილები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13000 კვ.მ ფართობს. განახლდა 12 შენობა-ნაგებობის ფასადი. მიმდინარეობს ცენტრალური მაგისტრალიდან ქალაქში შემოსასვლელი კვანძის მიმდებარე ტერიტორიის (გურული ბაზრის) მშენებლობა, რომლის დასრულება იგეგმება წლის ბოლომდე. პროექტი განხორციელდა რეგიონალური განვითარების ფონდმა, რომლის ღირებულებაც 5 000 000-მდე ლარი. ასევე, იგეგმება მეორე სკვერის რეაბილიტაცია და სხვა დამატებითი სამუშაოების ჩატარება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე შეესო გაზიფიცირების და წყალმომარაგების საკითხებს და აღნიშნა, რომ 12 ადმინისტრაციული ერთეული სრულიად გაზიფიცირებულია, დარჩენილია ოთხი ადმინისტრაციული ერთეული. გაზიფიცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად ტენდერები დასრულდა 20-21 სექტემბერს. ასევე, გაერთიანებული წყალმომარაგების დახმარებით 2021 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომლის პროექტი და სამშენებლო სამუშაოები მოიცავს 12 სოფელს. საერთო ჯამში დაიხარჯება 24 000 000 ლარი. სამუშაოები დასრულდება 2023 წლის აპრილისთვის, რის შემდეგაც 2000 მეტი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება მაღალი სტანდარტის და სანიტარული ნორმებით გათვალისწინებული წყლით.

ასევე, სუფსაში დასრულდა იუსტიციის სახლის მშენებლობა. პროექტი იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და დაფინანსებით ხორციელდება. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქში ნინოშვილის, საფო მგელაძის და თავისუფლების ქუჩებზე მრავალბინიანი სახლების სახურავები შეიცვალა. პროექტის ღირებულებაა 130 000 ლარი. იგეგმება გორგასლის ქუჩაზე მრავალ ბინიანი სახლის საძირკვლის გამაგრება. ქალაქის 8 ქუჩაზე (დუმბაძე, წმ. ნინო, გოგიჩაიშვილი, მარჯანიშვილი, გვარჯალაძე, კუპრეიშვილის შესახვევი, ჭავჭავაძის ქუჩა) დასრულდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულებაა 3 000 000 ლარს შეადგენს. დარჩენილია ქალაქის 19 ქუჩა, რომლის რეაბილიტაცია დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარეობს სოფ. ჩიბათიდან კოლხეთის ეროვნულ პარკში შესასვლელი გზის და მდინარე ფიჩორის სანაპიროზე ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები. ასევე, სოფ. ორაგვეში გზის, 5 კმ ველობილიკის, გადმოსახედისა და 400 მ ზიპლაინის მოწყობა. ეს პროექტები მიზნად ისახავს გურიაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და რეგიონის უნიკალური ტურისტული მიმზიდველობის პოპულარიზაციას.

2022 წლის დაგეგმილი პროექტების ღირებულებაა: 11 894 404.88 ლარი.

მან ასევე, ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროექტები განხორციელდა 2021 წელს: შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით მოწყობა, 15 ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, განხორციელდა დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სტადიონის რეაბილიტაცია, ასევე, გასულ წელს დასრულდა გრანდიოზული პროექტი-ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა, მისი საჭირო სპორტული და სხვა ინვენტარით აღჭურვა. აგრეთვე, საცხოვრებელი ბინების სახურავის შეცვლა, მდინარის კალაპოტის, ნაპირსამაგრის და სანიაღვრე არხების მოწყობა, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა. სულ 2021 წლის პროექტების ღირებულება შეადგენს 7 729 389.42 ლარს.

ლოლიტა ურუშაძე აგრეთვე აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებში 2012-დან 2022 წლამდე აშენდა 174, ხოლო სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 257 საჯარო სკოლას. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით 2022-2026 წლებში თბილისსა და რეგიონებში აშენდება, რეაბილიტირდება და აღიჭურვება 800 სკოლა. საერთო ჯამში, 2026 წლისთვის, ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება გამართული ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით. სკოლები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, კეთილმოეწყობა კლას-კაბინეტები, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, ექიმის(ექთანის) კაბინეტები, სპორტული მოედნები და ეზოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მულტიპროფილური კოლეჯის მშენებლობა. პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს და სხვა პროფესიების დაუფლებას. მიმდინარე წელს მოხდება შესაბამისი კადრების შერჩევა-გადამზადება, ხოლო 2023 წლის იანვრიდან შეძლებენ სტუდენტების მიღებას. კოლეჯის ბაზაზე იგეგმება მოკლევადიანი და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელება ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი დარგების მიმართულებით. 150 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი ოზურგეთის კოლეჯ „ჰორიზონტის“ სასწავლო ბაზა იქნება. ასევე იგეგმება ხაჯალიის და ჩოლობარგის საჯარო სკოლების სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია. ჯიხანჯირის საჯარო სკოლის ეზოში ჭაბურღილის მოწყობა. აგრეთვე, მუნიციპალიტეტი აგრძელებს ზრუნვას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კმაყოფილდება თანამედროვე მოთხოვნების სტანდარტი. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით სუფსასა და ხაჯალიაში 100-100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღი შენდება და 2023-2024 სასწავლო წლისთვის აღსაზრდელები ახალ საბავშვო ბაღში გააგრძელებენ სწავლას. საერთო ჯამში ამ ბაღების მშენებლობაზე იხარჯება 8 200 000 ლარი.

ლოლიტა ურუშაძე ასევე შეეხო მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამულ ნაწილში სიახლეებს და აღნიშნა, რომ ფრაქციის ინიცირებით შემუშავდა ონკოდაავადებულების PET/CT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის 20%-ით თანადაფინანსება. ამასთან, თხოვნით მიმართეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ გათვალისწინებული იქნას ფრაქციის ინიციატივა და 2023 წლისთვის თანადაფინანსება გაიზარდოს 30 %-მდე. მეორე

სიახლეა ის, რომ ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა შესაბამისი პროცედურა ახლო მომავალში ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ ადგილზე, რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში. მათი სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტია - 36 800 ლარი(ამ პროგრამით სარგებლობს 16 ბენეფიციარი, აქედან 3 ქალაქიდანაა). მან ასევე ისაუბრა სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემულ დახმარებებზეც. კერძოდ: „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“ (სარგებლობს 49, აქედან ქალაქი - 30); „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი); „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის ბიუჯეტი 40 000 ლარი); „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“ (პროგრამის ბიუჯეტი 30 000 ლარი); სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა და ა.შ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ არის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი. ამ კუთხით გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რომელიც მიიღო 2019-2021 წწ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობაზე მუშაობის დროს. მისთვის კარგადაა ცნობილი ის ამოცანები და საკითხები, რაც მისაღები და გადასაჭრელია ამ კუთხით. სწორედაც ამისთვის, ფრაქციის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში-მერის წარმომადგენლებს დაევალიათ პასუხისმგებლობა გენდერულ თანასწორობის საკითხებზე. აღნიშნულ პირთათვის შემუშავდა სამუშაო აღწერილობა და მიეცა სამართლებრივი სახე. გარდა ამისა, საბჭოს დაგეგმილი აქვს გენდერულად მგრძობიარე საკითხებზე საჯარო განხილვების ჩატარება ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობით; მოსახლეობისთვის სპეციალური საინფორმაციო მასალის გამოშვება; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციულ ღონისძიებათა ჩატარება ფოკუს-ჯგუფებთან არასამთავრო ორგანიზაციების ჩართულობით.

მაჟორიტარმა დეპუტატმა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიციანიშვილი** მიმართა კუპრეიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს, რომ იწყება მონაწილეობით ბიუჯეტთან დაკავშირებით იდეების წარდგენა მიმდინარე წლის 3 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში ან ელექტრონულად. მონაწილეობითი ბიუჯეტი განხორციელდება ტერიტორიული პრინციპით, რისთვისაც შემდეგი ადგილები განისაზღვრა:

1. ქალაქში, ებრალიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა;

2. კუპრეიშვილის ქუჩაზე N3 საჯარო სკოლის უკან საცხოვრებელ კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა;

პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 90 000 ლარზე ნაკლები და 100 000 ლარზე მეტი.

მაჟორიტარმა დეპუტატმა მოქალაქეებს მოუწოდა, რათა აქტიურად ჩაერთონ აღნიშნულ ღონისძიებაში და წარმოადგინონ თავიანთი იდეები.

ამის შემდეგ **ლოლიტა ურუშიაძემ** მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

კუპრეიშვილის ქუჩაზე კორპუსის მაცხოვრებლების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კორპუსი გადაიხურა და წყალსაწრეტი მილებიც დაემატა, წვიმის წყალი სახურავიდან გადმოდის და ჩადის ბინებში, რადგან მილები ვიწროა და საწვიმარი ღარი ვერ ასწრებს წყლის გატარებას. გარდა ამისა, სარდაფში დგება წყალი, რომელიც აზიანებს კორპუსის საძირკველს, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის შენობას. აგრეთვე, შესაცვლელია სასმელი წყლის ცენტრალური მილები. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კორპუსთან მისასვლელ გზაზე კერძო ეზოდან გადმოსულია ეკალ-ბარდი, რომლის მოჭრის ნებას არ იძლევა ეზოს მფლობელი. მოსახლეობის თხოვნაა, იქნებ როგორმე მოგვარდეს ეს საკითხი.

მოქალაქე **ნონა ხუხუნიანიშვილი** აღნიშნა, რომ კორპუსის ეზო საჭიროებს მოპირკეთება-მოასფალტებას. ამასთან, მისი თქმით, თუკი საჭიროება მოითხოვს, ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით კორპუსის მაცხოვრებლები მუნიციპალიტეტის მერიას მიმართავენ კოლექტიური განცხადებითაც.

მოქალაქე **მთვარისა მიქელაძე** აღნიშნა, რომ კორპუსის კედლებზე ჩამოედინება წვიმის წყალი, რის გამოც ნესტიანდება და ინგრევა ბინის კედლები.

წმ. ნინოს ქუჩის მაცხოვრებლების მიერ დაისვა სხვადასხვა სახის პრობლემები. კერძოდ, მე-2 საჯარო სკოლის შენობა არის კატასტროფულად ავარიულ მდგომარეობაში და სასწრაფოდ ესაჭიროება რეაბილიტაცია. ასევე, მოსაწესრიგებელია სკოლასთან ტრასიდან მიმავალი გზა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდლობაძე** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლას, რომელსაც დაარსებიდან 150 წელი უსრულდება, “ანგურის კლასს” ეძახდნენ, რადგან ის მთლიანად აგურით იყო აშენებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლას ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგ იქნება ისეთივე ადაპტირებული და თანამედროვე, როგორც ქალაქის N3 საჯარო, ლესის და გულიანის რეაბილიტირებული სკოლებია. გარდა ამისა, 2026 წლისთვის, ყველა საჯარო სკოლას და მათ შორის ლანჩხუთის მე-2 საჯარო სკოლასაც, ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგაც ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან გამართული ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით.

მოქალაქე **ვიქტორ წილოსანი** აღნიშნა, რომ ბაკურში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა ცუდ მდგომარეობაშია და აუცილებლად საჭიროებს კეთილმოწყობას. ასევე, მოსაწესრიგებელია ლაშისღელის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა.

მოქალაქე **ნინო ჭელიძე** აღნიშნა, რომ უნდა გაკეთდეს საკანალიზაციო სისტემა. ამასთან, კარგი იქნება, თუ წმ. ნინოს ქუჩაზე მოეწყობა მინი სკვერი. ასევე, შემოსაღობია საძოვრები.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს თანადგომისა და ყურადღებისთვის. **ლოლიტა ურუშიაძის** თქმით, როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადებუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწყდეს ყველა ის ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ლოლიტა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მოადგილე